ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11 28).

№ 12 1883—1895 30 ივნისს.

## წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უმოქმედობის ახირებული გამართლება.

ჯერ ხომ ქართველ საზოგადოებას ყურები აქვს გამოჭედილი ბანკის ამბებით: არის მთელი მითქმა-მოთქმა, ერთი გაცხარებული ბაასი და ლამის მთელი საქართველოს ცნობის მოყვარეობა და ყურადღება ამ საქმემ ჩაითრიოს. მაგრამ გარემოებამ ესეც არ გვაკმარა. სხვა საქმეში გამოჩენილმა სიძაბუნემ, რომელიც მოჰყვა ამ ბანკების ქაპან-წყვეტას, მიზეზად ეს ბანკის საქმე მოიდევა. ამას წინად ამის შესახებ მთელი მეთაური წერილი დაიბეჭდა ივერიის მე 121 №-ში, რომელმაც ფრიად გაგვაოცა. წერილის დამწერი სრულიად უსაფუძვლოდ უწმენდს ნამუსს ზოგიერთ პირებს და მათ უმოქმედობას სულ საბანკო ბრძოლის დამწყეთ აბრალის. ახლად დასრულებულმა ბანკის კრებამ ერთი მწარე ფიქრი დაგვიტოვაო, ამბობს წერილის დამწერი. შემდეგ ახასიათებს თუ რამდენი «შრომა და ძალ-ღონე უნდება ბანკის საქმეებსა და მდგომარეობას“, რომ სხვა ყველაფერი საზოგადოებას დავიწყებია, ერთად ერთ ამ საქმეს გამოჰკიდებიაო. მაგრამ ასე საქმე არ გაზვიადდებოდა: «უბედურობა იმაშია, რომ ჩვენის ბანკების ცხოვრება თავისს ნორმალურს კალაპოტში აღარ-არის» კარგა ხანია. შემდეგ ავტორი იხსენიებს თუ რა «საშინელი ბრძოლა ასტეხა» თბილისში და ქუთაისში გამოჩენილმა წრეებმა და ბრძოლის მიზნის უარარაობას, წვრილმანობას იხსენიებს. ვერ. ჰპოებს ვერას გარკვეულობს მათ მისწრაფებასა და წინააღმდეგობაში, და ნუგეშობს მითი, «რომ მავნე მიმართულება ძლიერულ იქმნება და საზოგადოების წინააღმდეგ აღმართული დროშა დაიმხობა; მაგრამ უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მანამდის საზოგადოების ძალ-ღონე, საზოგადოების უმთავრესი ყურადღება ამ ბნელსა და მავნე ელემენტებთან ბრძოლას უნდება და სხვა ჩვენი საქმე, სხვა ჩვენთვის არა ნაკლებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყურადღებო მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი რჩება. მაგრამ ამაზე ის უნდა შევნიშნოთ ხსენებული წერილის დამწერს, რომ ძალიან სამწუხაროა, თუ საზოგადოება იმდენად უსუსურია, რომ «საზოგადოებას უმთავრესი ყურადღება და ძალ-ღონე» მარტო ბანკის მოწინააღმდეგე პირთა დასაძლევათ გამოუზოგებიათ. სხვა რამეზე, უფრო რთულზე და საჭიროზე მაშ სულ არ მოეძებნებათ არც ძალღონე და არც ყურადღება. მაშ ბანკის საქმე საზოგადოების საქართველოს დედა ძარღვათ მიუჩნევია და სხვა მოთხოვნილებაზე თვალი დახშობია?! სწორედ სამწუხაროა ასეთი მოვლენა და რისი იმედი გვაქვს ან რა ვყოფილვართ, თუ კი ასე დავწვრილმანდით და დავქუცმაცდით? წერილის ბოლოში უფრო ვრცლად იხსენიებს თავის აზრს ლალი; იგი ამბობს: «შეხედეთ, მაგალითად, ჩვენს შესანიშნავს დაწესებულებას, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. განა მისი არსებობა სიცოცხლესა ჰგავს? ჩვენის ქვეყნის სხვა მხარეთ თავი დავანებოთ დაგავიხსენოთ დღევანდელი მდგომარეობა სამეგრელოსი. იქ განუზრახავთ სრულიად მოაშორონ ეს მშვენიერი ქვეყანა ქართველობას და უცხო ენაზე ასწავლიან მის შვილებს. აქ წერა კითხვის საზოგადოებას დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლია: მას შეეძლო მედგრად შებრძოლებოდა გამანადგურებელს ძალას და გამარჯვებაც ენახა, მაგრამ სად არის პატრონი? **საზოგადოების უკეთესი წარმომადგენელნი თავისს ძალ-ღონეს და უმთავრესს ყურადღებას ძალა-უნებლიედ ანდომებენ ზემოხსენებულს მავნე და საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულებასთან ბრძოლას!.**». უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველთა დახმარებისათვის საქველმოქმედო საზოგადოების დაარსება «მიყუჩებულიო», არ «ვიცვლით ძველ გზას კრედიტით დახმარებისას», თუმცა ნათლად ვხედავთ, რომ ჩვენს მიწათ-მომქმედს და ახლად დაბადებულს მრეწველს სხვა რიგის კრედიტი ეჭირვებაო; სხვა მრავალი საქმე გვიფუჭდება, ბევრი გვიბრკოლდება და ზოგიც გვიგვიანდებაო, და ყველა ამაების მიზეზად გადაჭრით მოჰყავს ისევ ზემოხსენებული სიტყვები: «რადგანაც **საზოგადოების ძალ-ღონე მავნე და საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულებასთან ბრძოლას უნდება** (!), და რადგანაც ქართველობაში მცირე წრეთ უაზრო განხეთქილება ჩამოუგდიათ, წრეთ, რომელთ აზრი, მიმართულება და პროგრამა ბნელის ბურუსით არის მოცული“. აი სწორეთ ახირებული თავის მართლება თუ გინდათ ეს არის! ჯერ ერთი ჰკითხოს კაცმა ამ მიზეზის დამახასიათებელს: სად გაგონილა და ყოფილა იმნაირი ასპარეზი, რომ მთელი საზოგადოება უმანკო კრავთაგან ყოფილიყოს შემდგარი და «წინააღმდეგი მიმართულება» არ იყოს, არამედ ყველა ერთ მიმართულებას ადგეს? სწორედ წარმოუდგენელია ამისთანა ასპარეზიც და საზოგადოებაც. მერე კიდევ ზემოხსენებული მიზეზის დამსახელებელი სამჯერ ოთხჯერ გაიძახის: «საზოგადოების ძალ ღონე მავნე და საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულებასთან ბრძოლას უნდებაო» და მარტო მცირე წრეს კი იხსენიებს, მარტო ბანკის მოწინააღმდეგე დასს გულისხმობს. ნუ თუ მეტი ვერაფერი დაასახელა წერილის დამწერმა და საქართველოს მთელი ჭირ-ვარამი მარტო ამ მცირე წრეს გადაახოცა! მაგრამ ეს იქით იყოს თავი-და-თავი ჩვენი უკმაყოფილება გამოიწვია იმ ალაგმა, სადაც ლალი შეეხო ჩვენს წერა-კითხვის საზოგადოებას. მის უმოქმედობას ისიც ადასტურებს. ჩვენც ამაზე თანახმა ვართ, მაგრამ მიზეზის დასახელებაში კი სულ შორს ვართ და მისი სიტყვები სულ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია. წერაკითხვის საზოგადოება თითქმის ერთად ერთი საზოგადო დაწესებულებაა ჩვენში რომელსაც სასოების თვალით შეჰყურებს ყოველი ქართველი და მისგან მოელის თავის შეუფერხებელი ყოფის ცოტაოდენს თუ ბევრს არა წარმატებასა და დახმარებას. საზოგადოება ამ დაწესებულების ყოველ-წლიურ ანგარიშს დიდის სიხარულით ვერ შეეგებება ხოლმე, გამოტეხილი რომ სთქვას კაცმა, რადგანაც განხილულ საქმეთა რიცხვი სამასს ყოველთვის აშორებულია, ნამოქმედარის ჯამი კი ფრიად მკრთალი და ცოტა. მაგრამ მკითხველი საზოგადოება მაინც გულს არ იტეხს. რას იზამს კაცი! ხან გარემოებას გადააბრალებ, ხან კიდევ მრავალ გარეშე შემაფერხებელ მიზეზებს, ხან მოულოდნელ გარემოებას და მაინც სამერმისოდ არ იკარგავ იმედს, და ფიქრობ: არიქა, ეგების გამოკეთდეს, მოღონიერდეს როგორმე მისი საქმეო. მაგრამ როდემდე უნდა ინუგეშოს საზოგადოებამ თავი ამ ტყუილი იმედით! წელიწადი წელიწადს ედევნება, დრო მიდის, წარმატება საზოგადო, საერთო საქმეს ძალიან ცოტა, და თითქმის არაფერი ემჩნევა. სახელი დიდი არის და დაწესებულებათაც

ითვლება—თავსა და ბოლოს რომ ვიგულისხმოთ კი—ყოველივე ეს გამოდის მხოლოდ თავის თავის მოტყუება და თვალთ-მაქცობა, ვინ გამოდის წაგებული ეხლა, ვინ გამოდის შესაბრალისი ამ საქმეში? შესაბრალისი და წაგებული მთელი საზოგადოებაა, თორემ თვით იმ დაწესებულების მეთაურ-ხელმძღვანელთ რა უშავს?! რაში ეტყობა, რომ იგინი სწუხდენ თავის უმოქმედობას! შეიძლება თითო ოროლა საქმის მოყვარული პირი კიდეც იყოს წერა-კითხვის საზოგადოების მეთაურებში, მათ რასაკვირველია სამდურავი არ ეთქმის, მაგრამ ორიოდეს სიმარჯვე ვერ აინაზღაურებს ბევრის სიზანტეს. დიდათ სამძიმოა ასეთი იმედის გაცრუება საზოგადოებისათვის და დიდათ მავნებელიც, და ფრიად სამარცხვინოა მისთვის, ვისაც ამ სიძაბუნისათვის თავი ვერ დაუხწევია და ან სულ უარის თქმით არ დაუთმია თავისი სარბიელი სხვისათვის, ან და გულ მოდგინეთ არ ცდილა დაბრკოლების აშორებას და თავის საქმის პირნათლად წინ წაძღოლას. თუ კი თავმჯდომარე, რომელიც უნდა იყოს დაკისრებული საქმის სულის ჩამდგმელი და უმთავრესი მაბრუნავი ჭახრაკი, ნაკლებად იქნება მოტრფიალე თავის მოვალეობის და თითქმის გარეშე კაცზე ნაკლებად იქნება მიზიდული იმ საქმისადმი მისი ცნობის მოყვარეობა, როგორ შეიძლება, რომ ამ მოვლენას კანონიერობისა და სამართლიანობის რამე ეწოდოს? ვისაც ეს არ სჯერა, მას მივუთითებთ წერა-კითხვის საზ. ანგარიშის 1893-4 წ. მეექვსე გვერდზე, სადაც მოხსენებულია, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში ყოფილა **39** სხდომა, განხილულა **333** საგანი და თავმჯდომარე თ. ი. ჭავჭავაძე დასწრებია მარტო **7** კრებას ეს რიცხვი ყველა სხვა წევრების დასწრების რიცხვზე ნაკლებია, რომელიც არის 10—39 მდე. რას მოასწავებს ეს?!. ნუ თუ **32** სხდომა მიტომ გამოტოვა თავმჯდომარემ, რომ იგი «**თავისს ძალ-ღონეს და უმთავრესს ყურადღებას მავნე მიმართულებასთან ბრძოლას ანდომებს**?!... ამნაირი უსუსური თავის გამართლება გულამდე არ ჩააწევს და ვერც ერთს ჩახვედრილ კაცს ვერ დაარწმუნებს; იგი შენდობის სურვილს ვერ აღუძრავს მსმენელს, არამედ მოიპოებს მხოლოდ ზიზღს და სიძულვილს. ჭეშმარიტს მისწრაფებას ვერავითარი «მავნე მიმართულებასთან ბრძოლა» ვერ გააფუქსავატებს. მაგრამ იქ, სადაც სურვილი ნამეტნავად ლალბათია და იმდენად არ არის გამჯდარი ადამიანის არსებაში, რომ მის გონებას და გულს არ ამღელვარებს და საკეთილო სამუშაოდ არ წარმართავს, რა გასაკვირალია, რომ ულიმღამობას ჰქონდეს მოცული ადამიანის არსება და რიგიანი მოქმედების წამაქეზებელი აზრის სათავე სულ მიბნედილ, დაობებული იქნეს. იქ რას უნდა მოელოდე ადამიანი უმოქმედობის მეტს, თუ ასპარეზის გულშემტკივარობა გულს არ უღვივის დაწესებულების მეთაურს ან დამხმარე პირს, და წარმატების ნაცვლად, მხოლოდ პირის საფეროდ სამსახურის ასრულებაღაა მიმჩნეული საკმარისად. მეთაურის სიზანტე დანარჩენ წევრების სიზანტესაც მოასწავებს და მათ ღვაწლსაც აქვეითებს. სადაც სათავე ასეთი ულიმღამოა, იმ სათავის მოყაბულენი ხომ უფრო სუსტნი უნდა იყონ. შრომის სურვილით გატაცებული ძალა უზრუნველობას ვერ გაიმეთაურებს. მოქმედებით მჩქეფარე ჯგუფი სიზარმაცეს მეთაურად ვერ წაიკარებს და ვერ იგუებს. მაგრამ სადაც ეს ორი ძალა თითქო შეთანხმებული არის, იქ უთუოდ უადვილესი უფრო მოიდგავს ფეხს, და სიზარმაცეზე ადვილი თუ რამე იყოს, ამაში ხომ გამოცდილებით ქართველს ვერც კი არავინ გაუტოლდება...

ან კიდევ სხვაზედაც რომ გადავიდეთ, რომელს უშლის ამ «მავნე მიმართულებასთან ბრძოლა», რომელი იტეხს თავს და ან რომელი ესწრაფვის გატაცებით ამგვარ საზოგადო საქმეს! რომელი ათენაღამებს საზოგადო საქმის დახმარების ფიქრში, განა არ ეტყობა საზოგადო საქმეს, რომ მას უხვად ჭაპანის გამწევი ჰყავდეს, მაშინ არც ასე ტაატით სიარულს მიეჩვეოდა იგი და არც ასეთ ობს მოიკიდებდა, რომელიც ეხლა უხვად გადაჰკვრია მას. განა რომელიმე მცირე ჯგუფს ადამიანისას, რომელსაც, როგორც თვითონ ლაღივე ამბობს, „დროშაზედ საზოგადო ინტერესი არ უწერია», რომელთა «არსების დედააზრი წყვდიადით არის მოცული», «რომელთ აზრი, მიმართულება და პროგრამა ბნელის ბურუსით არის მოცული», და სხ.—ნუ თუ ამისთანა ადამიანებს შეუშინდა სამოღვაწეოთ განმზადებული საზოგადოება და ნუ თუ ამისთანა პირებმა დაუცარეს ხელი საზოგადოებას და დაუბნიეს გზა-კვალი თავის მოვალეობის პირნათლად ასრულებისა!?... მაშ, ნეტავი ჩვენ, თუ ასეთი გმირებით გვაქვს მოცული ჩვენი ასპარეზი! აბა რაღა გვიშავს! ვინძლო, მტერს თვალი არ წავთხაროთ. ძალიან კარგი განძი არ ჰქონია საქართველოს!... განა ძალა ეთქმის იმ ძალას, ან რიგიანო-

ბა დაერქმევა იმ ნაწილ'ს საზოგადოებისას, რომელიც მცირე, უმნიშვნელო და ისიც გზა-გაურკვეველი მოწინააღმდეგე *) რამოდენიმე კაცისათვი'ს გულ-ხელს იკრეფს და საზოგადო მუშაობაზე ხელს იღებს! ეს არის ღირსება? მაგრამ, მაგარიც ის არი'ს, რომ ზოგიერთს სიჯიუტე არ აცლის თავის ნაკლულევანების შეგნებას და საზოგადოდ მიზეზ-ბრალეულობის გარჩევას, და თავის ან სხვის უმოქმედობის მიზეზ'ს იმისთანა რამეში მოაძებნიებს, რაიც სრულიად შესაწყნარებელი არ არის. ზოგიერთს თვითონ სურვილი არ მოეძევება საზოგადო საქმის დახმარების, და, აქაო და ეს მიზეზი მეღობება წინაო, ამართლებს ვითომ თავის უმოქმედობას. მაგრამ ვინ იქნება ისეთი უსუსური, რომ ეს გამართლებათ მიიღოს? პირიქით ამისთანა ფეხმოკლე ვითომ და მიზეზი უფრო უმტკიცებს ადამიანს იმ პირის სიზარმაცეს, სიძაბუნესა და უბადრუკობას, ვისაც ასე ხშირად დასჭირვებია და მოუხსენებია ამნაირი თავი'ს გასამართლებელი მიზეზები. ამისთანა მიზეზს შეგნებული ადამიანი ვერ შეიწყნარებს, ვერ შეიწყნარებს მიტომ, რომ გაჭირვებასა და შეფერხებაში უნდა იჩინოს თავი საზოგადოების გულშემატკივარ პირთა ძალამ და მოქმედებამ, თორემ ვარდით მოფენილ ასპარეზზე არაფერი გასაკვირალია მოღვაწეობა, და არც ქართველები ვართ გასათუთებული ამნაირი ასპარეზით. მოცდა და ლოდინი არ გვარგია, მიტომ რომ უკულმართობა და გზა დაბნეულობა თუ მატულობს, თორემ არ კლებულობს. საროდიოთ ვაპირებთ ამდენი საზოგადო საქმეების გარიგებას, თუ ეხლა ყველამ ზარმაცულად ზურგი ავუქციეთ?! ძილი'ს დრო აღარ არი'ს, და თუ მაინც-და-მაინც ზოგს ჯერაც განცხრომის სართუმალი ვერ მოუსაკლისებია, ისინი ნურც ირევენ თავა მოწინავე საზოგადოებაში, და დეე ისევ იმ სართუმალზე ისპარეზონ, რომელიც ასე ძალიან შეჰყვარებიათ; სხვებს კი ნუ ეპატიჟებიან იმ სიძაბუნისაკენ, რომლისათვისაც თავი ვერ დაუღწევიათ. დიახ, თუ თავი'ს თავის არ ერცხვინება საქმი'ს მეთაურ ადამიანს, დანარჩენი საზოგადოება მაინც შეიბრალო'ს და ნუ მიიყვანს საქმეს იმ ზომამდე, რომ ყოველი დაკვირვებული ქართველი'სათვის უმოქმედობის სიმბოლოთ გახდეს იმ დაწესებულების სახელის ხსენება და ვითარება, რომელსაც საზოგადოებამ ამდენი იმედი დაუკავშირა და რომლითაც ასე თავმომწონეობს სხვაში დაჩაგრული ქართველის გრძნობა. ერთად ერთი (ვგულისხმობთ წერა-კითხვი'ს საზოგადოება'ს) საზოგადო საქმი'ს სათავე მაინც არ უნდა დაუშრიტოს ქართველ საზოგადოებას, რათა ამით საკიცხავ-საგმობად არ გახადოს თავისი თავი ქართველობამ, რადგანაც თვითვე იქნება დამნაშავე ამაში, რომ სთქვან, უხერხულად წამძღოლ პირთათვის ჩაუგდია ეს საქმე ხელში და ძალით დაუღაფვინებია სული თავის სასურველ დაწესებულებისათვისაო. რით გამართლებენ თავ'ს შთამომავლობის წინაშე ან ამ დაწესებულების გამგე მეთაურნი ან დანარჩენი საზოგადოება ასეთი საქმი'ს მივიწყებისა და დაობლები'სათვის!...

დიახ, მიტომ გავაგრძელეთ სიტყვა, რომ იმ წერილმა სწორედ იმ იარებ'ს გაჰკენწლა, რომელიც ყოველ შეგნებულ ქართველ'ს დასჩემებია, და ისევ სჯობდა ლალის მიერ გამოქვეყნებულ ფეხმოკლე გამართლებით ტყუილად არ მოცილებულიყო საზოგადოების ყურადღება, რადგანაც ყოველ გულშემატკივარ ადამიანს ეჩოთირება უმოქმედობის და უღიმღამობის უსაფუძვლო გამართლება, მერე ისიც ამნაირი ბრალდებით. ჩვენ ბრალმდებელი ისე არ გვეჭირვება, როგორც საქმის მოყვარული და საზოგადო უღლის გამწევი ადამიანები.

მაშ დიდი წინდაუხედაობა იქნება, გავამართლოთ საზოგადოების ისედაც ფესვგადგმული სიზარმაცე და გულგრილობა, და აქაოდა ყველაფერში «მოწინააღმდეგე წრეები» ხელს გვიშლიანო, მათ-და შურის საძიებლად გავალაშქროთ ისედაც გზაგაურკვეველი საზოგადოება. ეს უფრო უარესი გზის დაბნევა იქნება და არც ერთი გულშემატკივარი შვილი თავის ქვეყანა'ს ამას არ უსურვებს. ამას მოცილება და წამალი უნდა, თორემ შურის საძიებელ ასპარეზებისათვის შინაურობაში ეხლა ქართველ'ს სწორედ არ უნდა ეცალოს, რომ კიდევაც რამე სუფევდეს ამ გვარი. მაგრამ ყველაზე სამწუხარო უფრო ის არის, რომ ყველა ეს «მავნე მიმართულება» გამონაგონია ზოგიერთების სიზარმაცი'ს, სულის უქმობის, მთავრობის მოყვარების, ვერცხლის მოყვარეობის თავის გასამართლებლად. შეგნებული ადამიანისათვის ეს ცხადია, მაგრამ უმეტესობას ეს ვერ შეუგნია, როგორც ბევრს ჯერაც ვერ შეუგნია ქვეყნის ბრუნვა.

---

*) ვიხსენიებთ ამ სახელწოდებას, რასაკვირველია, „ივერიის“ სიტყვით, თორემ ჩვენ ვერ ვხედავთ ისეთ „მავნე მიმართულებას“, რომელთანაც ბრძოლა ჰქონოდეს ჩვენ'ს საზოგადოების მეთაურ პირებს. ეგები მავნე მიმართულებასთან მომქანცავ ბრძოლად ბ. ლალი იმას გულისხმობდეს, როდესაც ისეთი გრძელი სიტყვით გაილაშქრა ბ. ი. ჭავჭავაძემ! (იხილე „ივერია“ მე 106 № რი). რომელ მავნე მიმართულებას ებრძვის ამ სიტყვით იგი?! რას ნიშნავს ამნაირი ბრძოლა, თუ არ ჯოხის ცხენით ბავშურ გაჯირითებას?!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოის ძველი დროის თავ-გადასავალი.

(ლექსად)

დავით მეფისა და სოლომონის ნათესავთ ბაგრატისა და გურამისა და ძმათა მისთა აყრა ფილისტიმით მოგვად უცხოთა ადგილთა.

განმხადეს თვისა ყოველი ყმა ჰყავთ თუ ყმათა შვილები,
განდიდებულის ბანაკით ვლეს სხვა და სხვა ადგილები
მტერთა შეხვდიან გზაზედა მესახლედ მახვილ წვდილები,
სად მოყვარეთა ნახვამან ჰკადრიან სიტყვა ტკბილები.
მათ მოვლეს ფილისტიმითგან მრავალნი ქვეყნის კიდენი,
ხილვად უცხოთა ადგილთა არ იყვნენ თავთა მრიდენი
არ დაავგდებდეს სამძიმართ იყვნენცა თანამხიდენი,
ვერა სად ავნეს მეკობრეთ, შემხვედრთ არნ გამაფლიდენი.
ქვეყანათა განიცდიდეს უძლოდიან თანამყოლსა,
მთათა სჭვრეტდენ ველოვანთა, უმზერდიან ყვავილ-მოლსა.
ერთგან შეხვდენ ქვეყანასა არ უდრიან სხვასა ტოლსა.
კერძო იყო აზიასა თანაშერთვით ანატოლსა.
ქვეყანაგულთა საშვები იყო თვალთ მოსაწონები:
ყოვლი-თურთ კეთილ შემკობილ, სალხენ არ დასალონები,
ჰაერი ვითა სამოთხე არს ყელსა შესაკონები,
მდებარეობა უტურფეს მდინარნი მრავალ საფონები.
ჰაოსის და ქართლოსისა წილხდომილი მოვლეს წვრილად,
ქართლოსის ხვედრს ედემისა ჰგვსკავსად სჭვრეტდეს შემკობილად,
უსაზომოდ შეუყვარდათ იყვნენ დგომას მინდომილად,
სამოთხესა უსწორებდენ ღვთისა მიერ დანერგილად.
სთქვეს მოვიარეთ ყოველი ჩვენ ქვეყანისა პირები,
მრავალი შეგვხვდა გზაზედა სვლისა მიერი ჭირები;

ის შესანიშნავი გალექსილი ხელთ-ნაწერი, რომელზედაც ამას წინეთ მოუთხრობდით ჩვენ მკითხველებს, უკვე მივიღეთ, მაგრამ გვაკლია რამდენიმე კიდევ საღმრთო ისტორიისა. ამისთვის ჩვენ ვიწყებთ ბეჭდვას საქართველოს ძველი დროის თავგადასავლისას, და როცა ამას გავათავებთ, მერე ისევ დაუბრუნდებით საღმრთო ისტორიის ბეჭდვას. ეს ნაწილი ხელნაწერისა მითაა შესანიშნავი და საინტერესო, რომ ჩვენი ისტორია მშვენივრად დალაგებით და ქრონოლოგიურად არის აღწერილი და მერე ისიც ლექსად.

რედ.

თუ სადა დაგვშთა უნახავ ადგილი რამე მცირენი,
თვარე სრულ მოვლეთ კიდენი ვართ მათი მონამხილნი რები.
ქვეყანა ჰგვსგავსი ამისი არა სადა პოვებულა,
ყოველის სოფლის კეთილობა აქ სამე მოკრებულა
სამოთხისა შვენებანი ამას ზედა გროვებულა
ვის არა აქვს აქ ცხოვრება სიტკბოებით განქებული.
უცხოებითა მრავალნი ჩვენ ჟამნი გავატარეთა;
მოდამოვიგოთ მკვიდრობა ამა ქვეყანის არეთა.
ვის სადა გვინდეს მეფეთა ჩვენ მათთა შევეწყნარეთა
ვიახლნეთ, ვნახნეთ პატივით კმა არს სლვა კარის კარეთა.
ამა თათბირსა შვიდნივე ერთხმობით დადგებოდა,
მივიდნენ რახილ დედოფალს პალატად იახლებოდა,
მამსვლელნი შევლენ ზრდილობით, დამხდურნი ტკბილად ხვდებოდეს,
ყმათა მათ ჭვრეტა ყოველთა მხილველთა იამებოდეს.
შვიდნივე ძმანი რახილით ემაზით ნათელიღებდეს,
რახელისანი ამისთვის ყოველნი ერთობ იშვებდეს,
ბაგრატს პალატად რახილის ზედ სიძედ შეისიძებდეს,
ქორწილ ისათვის პურობას უზომოდ გაადიდებდეს.
კვლავ ძმანი ბაგრატისანი აბგავარ მოაბალიდა
სომხეთა მეფემ ისიძა ძათზედ აქვს ტკბილად თვალიდა,
სამეფოს გასცემს საჭურჭლეს არს იგი უშურვალიდა
გურამ სხვა ძმათა სამითა იყო ქართლის მიმავალიდა.

გურამ დავით მეფისა და წინასწარმეტყველის ნათესავისა ქართლს მოსვლა წინაშე დაჩი მეფისა და მირდატ ძმისა მისისა.

ადრითვე გულთა უზომოდ მათ ქართლი შეჰყვარებია,
სადა კეთილი ჰაერი და სდიან მდინარებია,
მთათა და ველთა მრავალნი უცხონი მცენარებია,
ტურფათა ხილთა სისავსით კეკელთა სამოთხებია.
მას ჟამსა იყო მეფედ ქართლს ძე ვახტანგ გურგასლანისა,
დაჩი სკიპტრისა მპყრობელის ძლიერად გულოვანისა,
ვისგამო სინდელთ შეუდგათ დრონიყე ცრემლთა ბანისა,
კეისარს მისცა შერყევა კათედრით გარ გაყვანისა.
დაჩი და მირდად ძმანიდა არნ სიყვარულით სრულითა,
იშვებდენ ორნი ძმა ტკბილნი სავსენი სიხარულითა,
ეტრფობოდიან ურთიერთს დღისა და ღამე რულითა,
რაცა სწადოდათ მას ყოფდენ კეთილის განზრახულითა.
პირმშოობით მეფეობდა ოდენ დაჩი გვირგვინ დგმულად,
თვარე ძმისა უკითხავი არარა ჰქვის არცა სრულად

რაცა ორთა სათნო იყვის მას იქმოდნენ ქცევა ბრძნულად,
სუფევდენ და განსცხრებოდენ, იყვნენ გულით მოხარულად.

გურამ მოიდა ქრისტესით წელსა ხუთას და რვასა და
დაჩი იშვებდა სახლებლად ნახვიდა უცხოს ყმასადა,
თუ სადა შეხვდა წინაშე ომითა შებრძოლევასადა,
გმირულებრ რაზმთა შერევდა გრგვინვიდა კაფსა ხმასადა.

ჰმსახურებდა დაჩის გურამ გმირის ძესა ბიჭად მარდი,
მირდატს და ჰყვა შვენიერი მართ ედემად განაზარდი
ლაწვთა მასთა ბალახშიდა ლაჩავრა ბავეს ვარდი
სუნნელებით ვერ მეტობდა ანავსია ანუ ნარდი.

იგი მას მისცა მეუღლედ განაშვენებდა სერებსა
აწვივნა, პურად მოუხმო ამერთ იმერთა ერებსა,
ტაოსელ ჯაყელ კლარჯ შავშნი უბნობდენ მუნ სიმღერებსა,
ყოველნი შესძლვნიდენ სიძე სძალს ხოტბასა მათ მიერებსა.

განამრავლეს ქორწილისა ლხინი და პურობანია,
იყო ალვსება ლოსტაქანთ აქვნდათ ღვინისა სმანია,
უხვად დის სოლინართაგან სასმელთ არ მოკლებანია,
დაჩის ქებულსა პურადად აქვს ნიჭთა უხვებანია.

ყოველი პირი აქებდა მეფის ნიჭთ დიადობასა,
ტაოს უბოძა სიძესა, ღირს ჰყო მათს ერისთობასა,
გურამ ეტროფობის მნათობსა, იქმს მისსა ალერსობასა,
რა სჯობს, უმეტეს რა ვინ სთქვას საყვარელს სიძე სძლობასა.

შვა ძე გურამ იხარებდა ტაოსისა ერისთობას
ძმისა შექმნა მოსახელედ უწოდდენ ყრმას ბაგრატობას,
სიყრმითგანვე, შეასწავეს ბაგრატ სიმხნე მამაცობას,
ხელი ხადეს განცხრომასა, ჩუქებას და პურადობას.

თუცა იყო ესე გურამ მხილველ კიდის კიდეების,
გარნა ქართლის კეთილობას უცხოდ რასმე ეკვირების,
იტყვის ვფუცავ ცასა ქვეშე ჰმსგავსი ამის არ იქნების,
თუ შეხვდების მომაკვდავი ამ ქვეყანას განცხოვლდების.

კვლავ სხვა მიეცა ძე გურამს ჰყო ლხინთა მომატებანი,
დაჩის შეექმნა უმეტეს პურობის განდიდებანი,
სხვათა და სხვათა მთავართა აქვსთ გვერდით მისსა ხლებანი,
ზურთობა აშფაშაგობით ამრავლეს მაედნობანი.

ტარხანნი სრულის გულით ჰოფნ გურამის მორჩილებას,
ცდილობდიან სამსახურსა, იჩენდნიან ერთგულებას,
ამად რომე ვახტანგისა სჭვრეტდენ თესლის განმრავლებას,
იგი იყო მეფე დიდი ქართველთ შორის ღირს ხსოვნებას.

სამნი არიან ქართლისა ღირსი ხსოვნისა მეფენი,
რომელნი იყვნენ სატიკად მტერთა სისხლისა მჩქეფენი,
აზვებრ წყალობის მფენელნი, სიუხვით მოიეფენი,
ვის დროთა ქართლი ჰყვაოდა, იყვნენ სახელის მკრეფენი

ერთი არს ესე ვახტანგ და წინავახსენეთ რომელი.
სხვა ქნისა თვისსა მოგვითხრასთ, არ დაშთეთ მოუწომელი,
ერეთ წინაშე ერი და იყო მამაცად მდგომელი,
რომელთა ქება ყოველს კიდეს არს მარად დაუცხრომელი.

სხვანიცა ქართველთ მეფენი ძველადვე დიდებულები,
სკიპტროსან გვირგვინოსანნი, სფეროსან პორფირცმულები,
ზეგარდამოსა მადლითა ნიჭებულ კურთხეულები,
პატრონობა აქვსთ ირწმუნე კესართ არ მონაკლულები.

ძველი არს ქართველთ გვარობა, სცნობენცა ამას ჰრომები,
არიან თარგამოზისა და ნებროთისა ტომები,
კათედრით შთამოსირულთა, აქვსთ გვარი მზეებრ მკრთომები,
სხვად ნურას ნუ ეჭვ მსმენელო, განსდევნე შორად ცთომები.

ამით ყოველთა ნებროთის გმირობა, მშვიდ მოწყალეობა,
მეფობის შარავანდედით სახელის განფენილობა,
ბაბილოვნისა გოდლისა შენობა მაღლად ქმნილობა,
იყო ქამსა მას ერთ ენა ამად არ გვმართებს ცილობა.

ვიცი, გასმით ოდეს რა გოდოლსა აშენებდიან
მუშაკობდიან გულ სრულად, ალიზს ქვად შეიკრებდიან,
ერნი ერთხმანი სრულ ჰყოფენ რასცა გულს დაადებდიან,
ზესთა თქმისაცა სიმაღლით გოდოლსა ალაგებდიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეგარდმო სულმან მობერვით შერივნა მაშინ ენანი,
განიყო მრავალ გვარებად, არღ აქვსთ ერთ ურთის სმენანი,
ქარმან დაჰქროლა სასტიკად, ამად შეედვათ წყენანი
დაშლით დაირღვა გოდოლი, გულსა მიეცათ ტკენანი.
მაშინ ნებროთ აღმოსავალს იქმნა სამე დიდად მეფედ
განამშვენა ბაბილოვანს სრა პალატნი თვისად სეფედ,
იყო გმირი შეუსწორი მბრძოლთა თვისთა სისხლთა მჩქეფედ,
ორგულთათვის რისხვად მალი, ერთგულთ მწიჭველ მოიეფედ.
ესხნეს მას თვისნი გვარ-ტომნი, ჰაოს და ქართლოს გმირები,
კვლავ ქართლოსისა ძმანი და ძალითა არა მცირები.
განუყვნა მათცა ქვეყანა მისცა ჰყვეს დანამჭირები.
მოვიდნენ ხვედრსა ნაწილსა დადგნენ თესლ მრავალ ხშირები.

---

**ჰაოსისა და ქართლოსის წილადხდომილთა ქვეყანათა სახელების მოთხრობა, თუ რომელს რომელი ქვეყანანი ერგოთ მხვედრად თვისად.**

ჰაოსს შეხვდა აღმოსავლით კასპის ზღვადმდე თვისად წილად,
სამხრეთით მთა ორეთისა, ჩრდილოთ მთავე საზღვარ ქმნილად,
მოაბს პონტოს ვლის ბასიანს არს კარადმდე მიწევნილად,
არეზი, თურთ განზიდული, ბარდის სინორს შემოყრილად.
კვლავ დასავლით, პონტოს ზღვავე იქმნა ხვედრის განმყოფელად,
ესე თქმული ქვეყანანი ჰაოსს ერგო ყოვლი ხელად,
დაიმკვიდრა ადგილები, იქმნა ქალაქთ დამფუძნებლად,
განამრავლა შენობანი მთათა უნა ანუ ველად.
ქართლოსს ძმებითურთ ნაწილი დაშთა აწ აქა თქმულები,
აღმოსავალსა კასპიით რასხამდე განზიდულები,
ბარდით არეზსა აქეთით ზღვადმდე პონტოის სრულები,
მთანი დიდ დიდნი და ველნი ხაზართ წყალს მიწევნილები.

სხვა ვრცელსა ისტორიასა, ვისცა სწადს, მოიყუროსა,
აქა უბნობა მცირედი მას შინა იდასტუროსა.
სხვა არს საგანი არა ვსცემ ამისთვის გრძემლზე ყუროსა,
ქართლისა ნახოს მოთხრობა, ვისცა გულს მოესუროსა.

**დავითიან სოლომონიან ბაგრატიონთა მეფობისა დაწყება თუ ოდეს და ვითარ იქმნა მეფობა ბაგრატიონთა ქართველთა ზედა.**

იგივე სიტყვა მოვიდო დავითის ტომთა სირისა,
სოლომონითით შთამოსრულთ, არ გვაროვნება მცირისა,
არაჰამისა ნაყოფთა, იესეს კვერთხთა ძირისა,
ვითა მიეცათ ქართველზე შემოსა მათ პორფირისა.
აჰა ისმინე მსმენელო ნამდვილი თუმცა ინებო
ცუდთა ნუ მისდევ თხრობათა ნუცა მით მოიწყინებო.
თუ გწადს მართალი ამსზე გულსაცა დაიდგინებო,
ბაგრატიონთა მეფობა ოდეს არს წარმომჩინებო.
გურამ რომელი ვახსენეთ ქართლად მოსრული წინარე,
ვინაცა აქვნდა დავითსა ტომობა აღმოჩინარე,
დაჩი და მირდად არ იქმნენ მიღებისათვის მწყინარე,
მირდატმან მისცა და თვისი ნათლისა მზეებრ მფინარე.
გურამმან ერისთობითა იხადა სოფლის ვალები.
მისს ადგილს ბაგრატ ძე მისი შეიქმნა აღმავალები,
რომელმან დასდვა ქართველთზე ბრძოლითა დიდნი ვალები.
კეისარს სიმხნით ჰმსახურა, მტერთ სრვიდა განუკრძალები.
ბაგრატ შვა გურამ რომელი იყო მხნე გულოვანია,
სადაცა შეხვდის მებრძოლი შეუქმნის დია სრვანია,
ვერ შემართვიდენ პირის პირ მტერნი შვიდნი თუ რვანია,
განჰკვეთდის შუა ვისდაცა აქვნდა ხლმის შემოკვრანია.
იყო კერძად კეისრისა, მბრძოლთა მისთა ექმნის მტერად,
სპარსნი სრულად შეაძრწუნა, სარკინოზთა შეხვდა მტერად,
პატივისცა კეისარმან ნიჭებულ ჰყო მის მიერად,
მისცა კურაპ პალატობა სამსახურთა მაგიერად.
მაშინ დასცხრა დაჩის ტომთა შარავანდი მეფობისა.
ქართველთ შეხვდათ უმეფობით ჟამი დია ვაებისა;
სთხოეს მეფე კეისარსა დესპანს სლვა აქვს მგზავრობისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოახსენეს ჩვეულნივართ მეფეთთანა ჩვენ ყოფნისა.
ტახტისა მტერთა ვერ უზამთ გლახ უმეფონი მტრობასა,
თვით მივეცემით უცილოდ თავთაცა ჩვენთა მცრობასა,
გვიბოძე, მეფე დაგვიხსენ, ვიქმოდეთ მისსა ყმობასა,
კათედრის მბრძოლნი ყოველნი მივსცეთ ლახვართა სობასა.

არს გურამ იესეს ძირით რტო ცვალად ამორჩეული,
დავით მეფისა წალკოტით ყმა ახლად აღყვავებული,
სოლომონ ბრძნისა დიდისა ნაყოფად შესწავებული,
დედით მძლეთა მძლის ვახტანგის ტომითა წარმოებული.

მოგვეცი მეფედ დაგვერჯდეს ტახტი მეფისა ჩვენისა,
ჩვენ არა ძალგვიძს შეჰბრძოლვა უმათოდ მტრისა თქვენისა,
ამით ჩამოგვეხსნეს ძლიერება უმეფობისა სენისა,
და აწყვეტე თვალთა ნაკადი ცრემლისა უხვად მდენისა.

---

გურამ კურაპალატისა დავითიან სოლომონიანისა გამეფება საქართველოსა შინა ნებითა კეისრისათა და გამოთხოვითა ქართველთაგან.

კეისარს ესმა, იამა თხოვა ქართველთა გულისა.
ჰბრძანა მათვე აქვსთ ვედრება თვით ჩემგან განზრახულისა,
გურამს ანიჭა დიადი ლარი ოქსინო მკულისა,
ოქრო წონითა ურიცხვი ტაიჭნი, არაბულისა,

მეფობა მისცა ქართველთზე გურამს კესარმან სრულობით,
სამეფო სკიპტრა გვირგვინი, პორფირი მდიდრად მკულობით,
სრულ გიორგია იშვებდა ჰმონებდენ წელ შერტყმულობით,
ხელთ იდვა დიდი სამეფო ცნდალმა აღბეჭდულობით.

ხმობს გიორგია განსცხრების, ჟამი ხედათ ნეტარებისა,
კვერთხი გმირისა ვახტანგის აწ ტახტზედ აღჰყვავდებისა,
არა დაევშრება სანთელი ჩვენისა საწადლებისა;
შეიქმნა მოსლვა მთავართა მოლოცვად დას დასებისა.

შექმნეს ქართველთა ყოველგან ალლუმპრევა ქალაქებისა.
იყო შუკთა ლაღადი, შემკობა მომატებისა,
გამრავლდა საკრავთ ხმა ტკბილი მუსიკთა მოქმედებისა,
ისმოდა დღისით და ღამით ხოტბა მეფისა ქებისა.

დასდასობა გულოვანთა განსცხრებოდეს გულოვნებდეს,
აშფაშაგია ცხრომილიან ჩოგნის ყვანჯით ბურთაობდეს,
მთავარნი და დიდებულნი მეფის წინა შვებით ზმობდეს,
ყოველით კერძო არსთა პირი მეფის ქებას მაღლად ხმობდეს.

სრულად ქართლოსის ნაწილი ძმებითურთ იყო რანიცა,
მეფესა გურამს მონებად შეუდგნენ ულალ მთანიცა,
სძღვნიდიან ძღვენსა შორეულნი, აქვენდათ სისწრაფით სვლანიცა,
ყირყიზთა დიდის მდინარით არნ მეფობისა ყმანიცა.

რახსით კერძო კასპიელნი ქურთერთის მთით სრულად ერნი,
არეზით და პონტოს ზღვადმდე ფანაკარელ ბალბასთ მხერნი,
კოლხოს ზღვითა მაჭარადმდე ხაზართ დიდს წყალს დანაბერნი
მოვიდიან სამეფონი, ძღვენი აქვნდათ მრავალ ფერნი.

ერი გამრავლდა მოლხინე მეფისა ქებას ხმობდიან,
ესეო მეფე ქართველთა რაზმწყობით შეამკობდიან,
ველს ნადირთ სრვითა და ნადიმს თვის თვისის წესით ზმობდიან,
თასით სმად დიდ დიდთა რქათა ჯიქისას ჰნაკვეთობდიან.

განამრავლეს დღენი ლხინთა პურობა ნადიმობისა
ქალთა და ყმათა შემკობა იყო გუნდ კეთილობისა,
თვით ჰაერსაცა უკვირდა მათისა კეკელობისა,
ჰქონდათ ღვინისა შესმევა მეფისა დღე გრძელობისა.

## თ. ილია ჭავჭავაძის სიტყვა.

(„ივერია“ № 106 ამა წლისა).

მე, ბატონებო, გუშინ და გუშინ-წინ ვერ დავესწარი კრებას ბანკისავე საჭირო საქმის გამო. გაზეთებიდგან და კრების ოქმიდგან შევიტყე, რომ გუშინ-წინ ჩემი ქება-დიდება მოგისმენიათ ერთის ორატორისაგან. რაც ამ ორატორს უნებებია ჩემი ღირსად ხსენება, მე იმას ყურადღებას არ ვაქცევ. ხოლო თქმულა ერთი რამ ისეთი, რომელმაც შეამრწუნა ჩემი მამულიშვილური გრძნობა და ეს არ შემიძლიან აღუნიშნავად დავტოვო. აქ ერთს ორატორს მეორეზედ უთქვამს: ეგ მოსული არისო და ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვსო. მე არ ვახსენებ, ვის უთქვამს ეს. მე მთქმელთან საქმე არა მაქვს-რა. მე ვებრძვი აზრს და ამ აზრის გამოსარკვევად მარტო საჭიროა ვიცოდეთ ის კი არა, ვინა სთქვა, არამედ ის, ვის უთხრეს. ეს უთხრეს იმიერ ქართველს. როგორ? იმიერ ქართველი აქ, ჩვენს კრებაში, ამ ჩვენს საქართველოში მოსულია, უცხოა და არა სახლი-კაცი, არა სისხლ-ხორცი იმ დიდ ოჯახისა, რომელსაც საქართველო ჰქვიან! არა, ბატონებო!... ყოველს ქართველს საქართველოს ნაწილისას,—გურული იქნება, მეგრელი, იმერელი, კახელი, თუ ქართლელი,—ჩვენის ერთიანის ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს. ეს არამც თუ უფლებაა თვითეულის ჩვენგანისა, უუწმინდესი მოვალეობაა. ძმობა და ერთობა ამაშია. ეგ ძმობა და ერთობა არის იგი კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენის ცხოვრებისა.

ეს თითქმის ექვსი საუკუნეა მას აქედ, რაც საქართველო დაირღვა, დანაწილდა. ეს ექვსი საუკუნეა მას აქედ, რაც ჩვენნი მამა-პაპანი, ჩვენნი უკეთესნი და უდიდესნი მამულის შვილნი, ჩვენი გენიოსები, ჩვენნი ვაჟკაცნი და მეომარნი, ჩვენნი მსწავლულნი და მეცნიერნი, სისხლის ღვრით იღვწოდნენ, რომ მკვდრეთით აღედგინათ ჟამთა ვითარებისაგან დარღვეული და დამხობილი ძმობა და ერთობა. ამას შესწირეს თავისი სახელოვანი სიცოცხლე, თავისის სისხლით და ღვაწლით შემოსეს და აკურთხეს.

მთელმა თაობამ მეცხრამეტე საუკუნისამ ამას შეალია თავისი პატიოსანი მალ-ღონე, თავისი სისხლი და ხორცი, თავისი ნიჭი საქმისა და მეტყველებისა. აწ განსვენებულმა ჩვენმა მწერალმა თავ. ვახტანგ ორბელიანმა მთელის თავისის მხურვალე გულის მგზნებით აღთქმად დასდვა, ანდერძად დაგვიტოვა, რომ ძმობა და ერთობა კლდეა და ამაზედ ააშენეთ თქვენი ბედნიერებაო. ამაშია ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება.

დღეს სხვას გვეუბნებიან. დღეს უნდათ, ერთმა ნაწილმა საქართველოსამ მეორეს უთხრას: შენ ჩვენ შორის მოსული ხარო! სამართლიანი გულის წყრომა მამულის შვილობისა ამ აზრს ვერ მიიკარებს, მე ამით ვაცხადებ ჩემ-მაგიერ და ჩემთა თანამოაზრეთა სახელით, რომ მამულის-შვილურ გრძნობის წყევლა-კრულვით ჩვენ ზურგი შეგვიქცევია ამ უკეთურ აზრისათვის. თქვენც მოგიწვევთ, ასე მოიქეცით. დეე, ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა.

---

## წერილი რედაქციისადმი. *)

მ. რედაქტორო!

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ გამწვავებულ საბანკო კამათობაზე ზოგიერთი პირები გამოეკიდებიან ხოლმე რომელიმე უმნიშვნელო და საიმისოდ არა საყურადღებო წინადადებას მთელი სიტყვიდან ამოღებულს, გაიგდებენ ამ სიტყვას წინ და ამაზედ სურსთ მთელი ბრალდების აგება და ამით ვითომდა თავისი ძლევა-მოსილობის გამოჩენა. უმთავრესი საგანი კი ხან-და-ხან სულ განზე რჩება და რომელიმე წვრილმანის ენაზე დახვევით ცდილობს ზოგიერთი გამწვავებული მხარეების უფრო გამწვავებსა, და ჯეროვანი პასუხი რომ ვერ გაუციათ სიტყვისათვის, საზოგადოებას არწმუნებენ, რომ წარმოთქმული სიტყვა შეურაცხმყოფელი არის საზოგადოებისათვისო. ამისთანა საქციელისათვის მე ვამხილე ბ-ნი ილია ჭავჭავაძე და ვლადიმერ მიქელაძეც.

---

*) წელს თბილისის სათავადაზნაურო კრებაზედ, როგორც წინადაც მოვიხსენიეთ, ურიცილა მსჯელობა და ბაასი რომ ქართლელები და იმერლები ერთი არიანო. წავიკითხეთ დიდი სიტყვა თ. ჭავჭავაძის, სადაც ის დიდის რიხით ამტკიცებს ამ ჭეშმარიტებას! გვიკვირდა და გვიკვირს, ვის დაჭირდა ეს ახსნა და განმარტება. ამასო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის თავად-აზნაურთა სააღგილ-მამულო ბანკის საზოგადო კრებაში ამ წლის მაისის 20, როდესაც შევნიშნე ბ. პროკოპი (იგივე ვლადიმერ) მიქელაძეს, რა უზრდელობაა კრების წინაშე სხვა-და-სხვა დარიგების ხმა მაღლა წამოსროლა მეთქი, მე მას მართლაც ამ შემთხვევაში «მოსული» ვუწოდე, გაიარა ორმა დღემ და არავის არც კრებაში, არც კრების გარეთ სიტყვა «მოსული» არ გახსენებია. როცა საზოგადო კრება თავდებოდა და ბანკში მოსამსახურე პირნი ამოვარჩიეთ, უეცრად თ. ჭავჭავაძემ სიტყვით გამოილაშქრა—იმ სიტყვით, რომელიც ეს მრავალი წელიწადია თითქმის ასო შეუცვლელად გვესმის, თუმცა კი, უნდა მართალი ვთქვათ, სხვა და სხვა შემთხვევისათვის სხვა და სხვა რიგად ხმარობს მას. საგანი სიტყვისა არის «სამშობლო», დანიშნულება-ის პირადი წადილი, რაც ამა თუ იმ შემთხვევაში თვალწინა აქვს გამოსახული.... ამ სიტყვამ, რასაკვირველია, ჩემი პასუხიც გამოიწვია, რომელიც ადგილობრივმა გაზეთებმა სრულიად გამოსტოვეს ან უაზრობამდე დაამახინჯეს. მე ჩემი სიტყვის აღდგენა არ ვცადე და დავემყარე იმ შთაბეჭდილებას, რა შთაბეჭდილებაც ჩვენი ორივე სიტყვებით მოსმენის შემდეგ ყველა იმ კრებაში დამსწრე პირთ გამოიტანს. მაგრამ ეხლა გარემოება შეიცვალა. თ. ჭავჭავაძის სიტყვამ, ჯეროვან პასუხ—მიუკებლად დაბეჭდილმა, ცოტა არ იყოს, თავისს ფარულს მიზანს მიაღწია. იმეზეთიდგან ზოგიერთნი, გაკვირვებულნი, გვეკითხებიან ამ ამბის მიზეზს. თქვენს ღრმად პატივცემულს გარეთსაც არ შეეძლო გვერდი აეხვია ამ საგნისათვის, რომელსაც ზნეობრივი და საზოგადო ხასიათი აქვს.

ეხლა უფლება აღარა მაქვს, ხმა არ ამოვიღო და საუკეთესო საშუალებათ ყოველისფრის გამოსააშკარებლად მიმაჩნია, რომ შეძლემისამებრ სიტყვა—სიტყვით აღვადგინო ჩემი პასუხი თ. ჭავჭავაძისადმი—პასუხი, მოუმზადებელი, მაშინვე მოულოდნელი სიტყვის მოსმენის შემდეგ მიცემული,—ნაყოფი არა—ხანგრძლივი მოფიქრებისა და ამიტომ გულის სიღრმიდან წარმოთქმული.

აი თვითონ სიტყვაც:

«აქ ახსენეს სახელი განსვენებული მამაჩემისა, მე თითქო გვერდს ამიარეს, თუმცა, რაც კი სთქვა თ. ჭავჭავაძემ, ყოველისფერი მე შემეხება. მე და მხოლოდ მე უწოდე ბ. მიქელაძეს «მოსული». მე ვარ შვილი იმ მგოსნისა, რომელსაც აქებ—ადიდებს თავადი ჭავჭავაძე და რომლის აჩრდილისათვის ეს ქება,—დიდება სრულიად საჭირო არ არის.... დიაღ! მე უწოდე ბ. მიქელაძეს «მოსული». ეგ მოვიდა აქ და განემორა იმერეთს, ეგ ყველგან არის, მაგრამ ვაი თუ არსად არ იყოს. ჩვენი ბანკის საფინანსო ოპერაციები და კიდევ მრავალი სხვა შესაძლოა მაგისათვის საყურადღებო იყოს, როგორც ბანკიდგან სესხის ამღებისათვის, რომელსაც ეს უფლება, ისიც მხოლოდ რწმუნების ქაღალდის ძალით შეუძენია, მაგრამ რადგან იგი არ არის წევრი—დამფუძნებელი ბანკისა, არც ჩვენსავით შესტკივა გული თბილისის გუბერნიის თავად—აზნაურთა სააღგილ—მამულო საქმეებისათვის. სად ბ. მიქელაძე და სად ეს საქმეები?... მას რასაკვირველია უფლება აქვს წესდების ამა და ამ მუხლის ძალით—იმ წესდებისა ძალით, რომელიც მოგვიძღვნა ჩვენ კანონად თ.

ბაში იმერეთშიდაც გაისმა ეს ხმა და, რასაკვირველია, იმერიის ცნობაზე დამყარებული ვერ გამოიტანდა კარგ შთაბეჭდილებას ამ ამბის შესახებ. ეხლა რომ გამოჩნდა, თურმე საქმე სხვანაირად ყოფილა. ჩვენ გვითხულობდით ერთი მხრის ნალაპარაკევს, გაცემული პასუხი კი არ გვცოდნით. ეხლა თვით ავტორი გვიგზავნის ამ პასუხს, რათა გაირკვეს ეს ეჭვი და საზოგადოებამაც რიგიანად გაიგოს იმ კაცის ნათქვამი, ვისზედაც ასე მკაცრად მიიტანეს იერიში.

რასაკვირველია ამდენი სიტყვაც არ იყო საჭირო, იმის დასამტკიცებლად, რომ ბ. პროკოპი იგივე ვლადიმერ მიქელაძისადმი მიძღვნილი სიტყვა, იმერეთისათვის შეურაცხმყოფელი არ უნდა იყოს. განა ქვეყანა მოვალეა ყოველი თავისი შვილის საქციელ-მოქმედებისათვის პასუხი აგოს და მისი წუნი თავის წუნად მიიღოს?!.. ბ. მიქელაძისათვის იმერეთის წარმომადგენლობა არავის დაუმისებია და ამისათვის ტყუილი სიტყვის ხარჯვა ბ. ილია ჭავჭავაძისაგან ამის დასამტკიცებლად აშაოდ დამაშვრალა. მაგრამ მაინც რადგანაც არ არის სასურველი, რომ უალაგოდ და ტყუილაუბრალოდ აურზაურის და სიძულვილის ჩამომგდება ამბები და ხმები ვრცელდებოდეს, ამისთვის ვაძლევთ ადგილს ამ პასუხს თანახმად თ. ნიკოლოზ ვახტანგის ძის ორბელიანის თხოვნისა. და ამავე დროს სიმართლე თხოულობს, რომ ის სიტყვაც იქნეს მოყვანილი, რომლის საპასუხოთაც ეს იყო წარმოთქმული, და რომელსაც ამავე №-ში ვბეჭდავთ.

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქავჭავაძემ 1881 წელს—ლაყბობს და წყვიტოს საზოგადო კრებაში ყოველ—გვარი საგანი და ამ სჯა—ბაასში შეუძლიან რითაც უნდა იხელმძღვანელოს, მაგრამ ვერ იხელმძღვანელებს იმით, რითაც ჩვენ, რომელთაც საკუთარი საქმე გვაქვს, საკუთარი ვარამი გვაწევს, სრულიად უცხო და მიუხვედრელი ზიარდად ბ. მიქელაძისათვის. მე ვთქვი ეს ყველა, მაგრამ აქ იმერეთი რა შუაშია?! რა შუაში არიან იმერნი—შვილნი ჩვენი საერთო ქვეყნისა?!.. მე იმერეთი და იმერნი კი არა მყავდა სახეში, თვალ—წინ მხოლოდ ბ. მიქელაძე მიდგა, როდესაც ვეუბნებოდი: «ნუ გვიბედავ ეგრე კადნიერად ყვირილით დარიგებას, ნუ კისრულობ მას, რაც არ შეგფერის, ნუ ისხამ იმისთანა წამოსასხამს, რაც ფეხებამდე ჩაგთრევს?!... თურმე ჩემი სიტყვით შეურაცხება მიმიყენებია ბ. მიქელაძესათვის და მასთან ერთად შეურაცხება მიმიყენებია,—იცით ვისთვის კიდევ?!.. მთელი იმერეთისათვის, მთელი სამშობლოსათვის!.. მე არ ვიცი, ჩვენის განუყოფელი ქვეყნის რომელმა ნაწილმა მიანდო თ. ქავჭავაძეს ჩემი პატივი და ღირსება ბ. მიქელაძის პატივსა და ღირსებას შეუთანასწოროს?!.. მაგრამ გადაჭრით კი ვამბობ, რომ არავითარს კავშირს არა ვხედავ ბ. მიქელაძისა და ჩვენს სამშობლოს შორის და თუ ჩემ სიტყვებში რაიმე შეურაცხება იყო, დეე ბ. მიქელაძემ მთლად ერთიანად თავის თავზე მიიღოს იგი, პასუხი მომთხოვოს იმ გზით, რა გზაც უფრო გემოზე მოუვა, მაგრამ ნურც ის და ნურც თავადი ჭავჭავაძე «სამშობლოს» ფარად ნუ იფარებენ!..

ახლა, რა თვალით შევხედოთ გაცვეთილს, ვითომ და მამულიშვილურს მრისხანებას თ. ქავჭავაძისას, რომელიც ბ. მიქელაძის წამოსასარჩლებლად იხმობს თვით სამშობლოს, თვით ქრისტეს მოძღვრებას?!... გვიშველეთ, კაცის ღირსება ფეხ—ქვეშ გასთელეს სამშობლო საფრხეშიაო! საფრხეშიაო! იმიტომ, რომ თ. ორბელიანმა დაარღვია კავშირი ნათესაობისა, ძმობისა და ერთობისა იმერეთთან, რაკი გაბედა და შეეხო.... ბ. მიქელაძესაო?! სხვა რაა ეს, თუ არ საბრალო, უსუსური სიტყვა, და მიზანიც ერთი ასად უფრო უბადრუკი?...

რა ადგილი უნდა ჰქონდეს თ. ჭავჭავაძის პირით წარმოთქმულს სამშობლოსადმი სიყვარულს, მოძღვნილს მამიჩემის სამარიდან იმის სახელით?! თუ რა მასწავლა მე მამაჩემმა, ან რა გრძნობა ჩაგვაგონა სამშობლოსადმი თავის შვილებს—მე ამას სწორედ მაგას, თავადს ჭავჭავაძეს არ ვეტყვი. ეს კია, რომ მამაჩემს ჩემთვის არ უსწავლებია პირველობის შესაძენად და დასამყარებლად სამშობლო საშუალებად გამოიყენეო. არ უსწავლებია ჩემი ქვეყნის სიკეთე პიროვნების სარჩულად გამეხადა, არც სათეატრო სცენიდან სამშობლოს ხსნისათვის ქადაგება უსწავლებია!... ის ამკობდა თავის ქვეყანას, როგორც გრძნობდა და შეეძლო. თუ რა გრძნობა ჩამინერგა მამაჩემმა—ეს ჩემი საქმეა და მე ამ საგნის დაფასებას თავადს ჭავჭავაძეს არ მივანდობ. არ მივანდობ თავადს ჭავჭავაძეს იმიტომ, რომ გოდება: «ჰოი, სამშობლოო»! ვითომ მამულიშვილური გრძნობით აღფრთოვანება და რისხვა იმერეთის შეურაცხების გამო... ბ. მიქელაძის სახით,—ეს მხოლოდ საშუალებაა, ფანდია, შთაბეჭდილების მოსახდენად გამოყენებული და სწორედ ამგვარ ხერხს დიდი ამაგი მიუძღვის თავადს ჭავჭავაძის წინაშე. თ. ორბელიანი კი არა, თ. ჭავჭავაძე თავის პირადის ანგარიშით ივიწყებს სამშობლოს, შეაქვს შფოთი ოჯახში, საზოგადოებაში თვით თავის სამშობლოში. ორბელიანი იყო, თუ თავადი ჭავჭავაძე და მისნი თანამოზიარენი, როცა სიტყვით, ბეჭდვით თუ საქმით არღვევენ კავშირს ჩვენსა და იმავე იმერეთს შორის საუკეთესო მის შვილთადმი შეურაცხების მიყენებით?!... გუშინ არ იყო, რომ იგინივე კახეთს ქართლზე აქეზებდენ?!.. ან იქნება ამის დასამტკიცებელი საბუთები გეჭირვებათ?.. და ესევე თავადი ჭავჭავაძე გამოდის და ღვთის რისხვას იწვევს მასზედ, ვინც შეურაცხყო «სამშობლო»... ე. ი. ბ. მიქელაძე. აი უბადრუკი ხერხი და საშუალება!.. მართლაც, რომ უბადრუკი! დეე ისევ პოეზიაში გამოიყენონ ეს სამშობლო, მაგრამ საბრალო პოეზიასაც ბანკის ციფირებმა თავში ჩაჰკრეს, დავთრები დაუბნიეს და ეხლა სამშობლოს იმისთვისღა სჭიდებენ ხელს, რომ „მტერს“ მით სარმა გამოჰკრან, საზოგადოების თვალში დაამცირონ, გაანადგურონ.

ცხადზედ ცხადია, რომ მთელი ბანკის არსებობა თავადს. ჭავჭავაძეს თავის პიროვნებისათვის დაუკავშირებია. **რითი და როგორ**—ამის პასუხს მომავალი მოგვცემს, მანამდე კი ბანკში ყაენისებური წესი ბატონობს. თუ როგორ ტკბილად და ალერსით განაგებენ ამ

ბანკს ამის მოწმად მოეიყვანთ ამ ბანკშივე მოსამსახურეთ, «აგიტაციის» გამო ულუკმაპუროდ დატოვებულთ.

ვინც კი უკანასკნელს წლებში ბედავდა და ამ უწესობის წინააღმდეგ ხმას იღებდა, კენჭებით ახუმებდენ. ისიც წინ და წინვე მოფიქრებულია, თუ ბეჭდურ სიტყვასაც პირი როგორ აუკრან. ერთი ნაწილი განზე დგას, მეორე ბანკის მმართველთა ხელშია და ცხოველი პატიოსნური სიტყვა საწინააღმდეგოდ წარმოთქმული, გაზეთებში ელ-ფერს ცვლილობს, ყოველსავე ღირსებას კლებულობს, საპყარდება—და უწესური წესი ფარფაშებს!... ესეთი ბძანებაა გამოცემული. მაგრამ გუშინ და დღეს აქა-იქ თამამად ხმა ამოიღეს. გუშინ ზედამხედველ კომიტეტის წევრი მთელი კრების წინაშე ხმა-მაღლა ცხვირ-პირში ესვრის ბრალდებას, „ინტრიგანი“ ხარო; დღეს კიდევ თ. ჭავჭავაძე შეეფეთება თავისუფალ სიტყვას, რომელიც ხმა-მაღლა აბრალებს მას მრავალს უკანონობას და ამბობს: ყოველ ამას სხვაგან, თავად—აზნაურობის სამსჯავროს წინაშე დაგიმტკიცებო... თავადი ჭავჭავაძე ცდილობს ამ ბრალდების აცილებას, მაგრამ თავში ჩაკრული ისევ თვის ჩვეულებრივს ხერხს აეკედლება. ეს ხერხია, ამა თუ იმ გზით მართალი სიტყვა დაამციროს, გააუქმოს მისი მნიშვნელობა საზოგადოების წინაშე ფარულის ცილის წამებით და საფეხურად ჰმაახურებს მას ისევ ის სამშობლო, ისევ ის სარჩილი ვითომ შეურაცხყოფილ მამულისადმი...

თქვენ ქცევას ამ თავად-აზნაურთა ბანკში თავადიშვილობისა არა ეტყობა-რა, თავადო ჭავჭავაძევ!...

ამ სიტყვიდან, ვგონებ, ხედავთ, ვინა სთესს შურსა და შფოთსა ჩვენს ქვეყანაში და ვის გადუქცევია იგი საბრძოლავ საშუალებად—რა აზრით და რა განზრახვით?...

ვშთები, ღრმად პატივცემულო,
მამაო რედაქტორო, თქვენი და სხვ...
თავ. ნიკ. ორბელიანი.

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

კრილოვის არაკები. ნათარგმნი აკაკისგან. გამოცემა მეორე, შეუცვლელი თბილისი 1893 წელსა.

არც ერთს რუსეთის მწერალს იმისთანა საკეთილო ზედ გავლენა არ მოუხდენია ქართველი ახალთაობის ზნეობით აღზრდაზედ, როგორიც კრილოვმა მოახდინა. მისი რჩეული არაკები ქართულს ენაზედ რამდენჯერმე ითარგმნა. თუ არა ვსცდებით, ეს არაკები სთარგმნეს: ლუკა ისარლოვმა, ყორღანოვმა, რაფ. ერისთავმა და ბოლოს სთარგმნა აკაკიმ. მაგრამ აკაკის თარგმანმა თვისი თვალ საჩინო და წარჩინებულის ღირსებით მთლად დაჩრდილა, უკან ჩამოაყენა სხვა ავტორების მიერ ნათარგმნი კრილოვის არკები.

კრილოვის არაკებში უმეტეს ნაწილად გამოხატულია რუსეთის ბუნება, რუსთა ცხოვრება, რუსების შეხედულება სხვადა სხვა პირუტყვებზედ და ბუნების მოვლენაებზედ, რუსთა ზნე-ჩვეულებანი, მათი ღირსებანი და ნაკლულევანებანი. როცა აკაკის მიერ ნათარგმნს კრილოვის არაკებს ჰკითხულობ, გგონია, თუ ეს არაკები რუსულიდგან ნათარგმნი კი არ არიან, არამედ საქართველოს ცის ქვეშ ქართულს ნიადაგზედ არიან აღმოცენებულნი. უფრო უმჯობესია ამ არაკებს ნათარგმნი კი არა, გადმოქართულებული დაერქვას. ორის წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ აკაკის «არაკებს» დიდის აღტაცებით, სიამოვნებით და თან სიადვილით სწავლობენ შაგირდები. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდგან აკაკი მათში ჰაზრებს გამოთქვამს ცხადად, მკვირცხლად, გასაგებად; მათში არაა მრავალ-სიტყვაობა, რომელიც ძლიერ აბნელებს ჰაზრის შეგნებას, მის ჯეროვნად შეთვისებას თითოეულმა ერმა საგნის მოქმედებას და თვისებას დაარქვა შესაფერი სახელი, რომელსაც აზის ბეჭედი ამ ერის თავისებურობისა. მისის გენიოსი ერთი და იგივე საგანი სულ სხვა და სხვანაირად წარმოუდგება სამხრეთის და ჩრდილოეთის მცხოვრებსა. რუსულს ენაზედ დაწერილს კრილოვის არაკებს აქვსთ რუსული ეროვნული თავისებურობას აზის ბეჭედი რუსთა ეროვნობისა. ამიტომ დიდი ნიჭია საჭირო, რომ ეს არაკები გადმოაქართულო ისე, რომ არც კი ეტყობოდესთ მათ რუსულიდგან თარგმნა. აკაკის არაკებში, მაგალითად, დათვი «სუფრულსა» მღერის, ლეკურს

თამაშობს, მელა-კუდა ტამს უკრავს, მხეცები სვამენ სადღეგრძელოს ქართულს სუფრაზედ დასხდარნი... აქ «ქირეულთა მადა» სტუმარს ჩასციებია, ღვინო დალიეო, «ალავერდი», «გაამოს», «თასი», აზარფეშა, «თამადა» და სხვა სუფრის ქართული ტერმინები გხვდებიან იმ არაკში, რომელსაც რუსულად «Демьянова уха» ჰქვიან... საზოგადოდ აკაკი ისეთს თვისებებს და მოქმედებებს აწერს არაკებში გამოყვანილს ადამიანებს, მხეცებს და უსულო საგნებს, როგორათაც აწერს მათ ქართველი ხალხი.. ეს ღირსება აკაკის მიერნათარგმნი არაკებისა, ეს მათი გაქართველება, ამტკიცებს იმ უტყუარს ჭეშმარიტებას, რომ მას ღრმად შესწავლილი აქვს ქართული ენა. ენა აკაკისა საზოგადოდ ყველა მისს ნაწერებში და, კერძოდ, არაკებში არის ნამდვილი, კანონიერი ქართული ენა. აქა-იქ არაკებშიც ქართული სიტყვები «იმერულს კილოზედ» არიან ნათქვამნი, მაგრამ სწორედ ამაშია სიმდიდრე მისის ენისა. ის სიტყვები, რომლებიც დღეს მხოლოდ იმერეთში იხმარებიან და ქართ-კახეთში კი არა, ნამდვილი ქართული სამწერლო და სასაუბრო ძველი სიტყვები არიან, რომელნიც ერთს დროს შეადგენდნენ მთელი ქართველი ერის, ამერ-იმერთა კუთვნილებას; მაგრამ დროთა-ვითარების გამო მხოლოდ იმერეთში დარჩნენ ზოგ-ზოგი ძველი ქართული სიტყვები და ქართლ—კახეთში კი ეს სიტყვები დაივიწყეს. ამიტომ ქართლ—კახეთში დღეს ბევრი სიტყვები ეუცხოვებათ, არ ეჭაშნიკებათ, რომელთაც იმერლები ხმარობენ.

აკაკის გადმოუქართულებია რჩეული არაკები კრილოვისა, რომლებიც უფრო შეესაბამებიან საქართველოს ბუნებას და ქართველი ხალხის ცხოვრებას. ჩვენ უსაჭიროესს მოვლენად მიგვაჩნია აკაკის მიერ ნათარგმნი არაკების სწავლება იმ სასწავლებლებში, სადაც ქართულ ენას კარგად ასწავლიან, მაგალითად სასულიერო სასწავლებლებში და სათავად-აზნაურო შკოლებში და იქაც, სადაც ქართული ენის სწავლების საქმე ოდნადლა ზჭუტავს, როგორც მაგალითად, ბევრს სამოქალაქო და სხვა საერო სასწავლებლებში საჭიროა, თითოეულმა ქართულის ენის მასწავლებელმა ამ არაკების წიგნი მიიღოს «სასწავლო წიგნად» უმცროსს კლასებში მაინც. ზოგიერთგან, როგორც გაგვიგია, არ ასწავლიან ამ არაკებსა. ჩვენ ეს გარემოება დიდად გვაკვირებს. შეიძლება, მასწავლებელს რაიმე პირადი ანგარიში ჰქონდეს აკაკისთან, მაგრამ პირადი ანგარიში რა შუაშია იქ, სადაც საქმე სიმართლეს და ჭეშმარიტებას შეეხება?!... მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერ კიდევ ფესვ-გადგმულია საქართველოში «შინიან ჩემიანობის», «ამერ-იმერთა» დაყოფის ბილწი მცნება, რომელიც იდუმალ სამარეს უთხრის მთელი ქართველის ერის კეთილ-დღეობას და ამწერს უქადის შავ-ბნელს მომავალსა... ნუთუ ჩვენმა მწერლობამ ჯერ ვერ აღმოფხვრა ეს ყოვლად-წყეული მცნება ამერ-იმერთა სხვა-და-სხვაობისა?!

ილ. ფერაძე.

## საისტორიო მასალა.

### იოანე ბატონიშვილის წინადადება გიორგი მე XIII-ისა მართმეულდი 1799 წელსა.

#### მამულის მუხანათისათვის.

შერჩევნებაც არის ერთი გვარი დასჯისა, და ესე უბრალოდ არვინ უნდა იკადროს, რომ შეაჩვენოს ვინმე ეპისკოპოსმან, თავით თვისით, არამედ უნდა მოხდეს ესე კრებით, და გამოძიებით. უკეთუ მართლმადიდებელი განდგეს, ან სარწმუნოება დაუტეოს, მამულისა და სჯულის წინაამღდეგი შეიქმნას აგრეთვე მოახდინონ: შეიმოსოს ერთი ორი ეპისკოპოსი, თუ მოხელე იყო, აყარონ ნიშნები, და ესრეთ შეაჩვენონ, და იქმნას მერე განგდებულ ერთაგან. ეს სახედვე სამღვდელო.

#### კაცის მკვლელთა და შეურაცხმყოფელთათვის.

სამოცდა მეხუთე. ხშირად არის ამ გვარი შეცდომა საქართველოსა შინა, და მხოლოდ არის სისხლი გაჩენილი ვახტანგ მეფისა მიერ. გარნა არა კმარა ესე კაცის მკვლელისათვის. რადგან ვახტანგ მეფესა არა უჩვენებია ნაცვლად სისხლის დაქცევა, მკვლელის კაცისა ესე იყოს სჯულად: მოეჭრას მარჯვენე

*) იხ. «მწყემსი»-ს № 10 1895 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი და მისცეს კიდე ნახევარი სისხლი. ესე იყოს საზოგადო ერთა შორის, და იყოს უდაბნოსა შინა ხუთ წელს.

უკეთუ ძმამან ძმა მოკლას, ანუ თვისი მახლობელი ნათესავი, მოეჭრას ორნივე ხელნი. და წარიგზავნოს უდაბნოსა შინა შვიდ წელს. უკეთუ მკვდრის პატრონმან მიიღოს მეტი სისხლი, და არა ინებოს იმის დაშავება, ეს გვარი კაცის მკვლელი ნურღა მიიღება საზოგადოებისაგან. ნურც სამეფოს სამსახურში. და იყოს უდაბნოსა შინა ხუთ წელიწადს.

უკეთუ შეითქვნენ რამოდენიმე კაცნი სასიკვდილოდ კაცისა და დაიფიცონ საიდუმლოსა ამის დაცვაჲ, წარვიდენ სასიკვდილოდ ამა კაცისა, და მერე შეინანონ დაარღა გაჰყვნენ მკულელსა მას. ხოლო მან მარტო მოკლას იგი, და აღმოჩნდეს მაშინ, მკვლელსა მას გარდახდეს ზემო ხსენებულსავითა; ხოლო მასთან ნაფიცთა კაცთა, რადგან არა განამხილეს იგი, თვითეულსა მათგანსა გარდახდეს მთელ-მთელი სისხლი თეთრად და ესე დაიდოს მოსახმარებლად ქვეყანისა.

უკეთუ კაცის მკვლელმან კიდე მოკლეს კაცი, მაშინ მეორე ხელიცა მოეჭრას, და მთელი სისხლი წაერთოს, და შვიდ წელიწადს იყოს მონასტერსა შინა. და უკეთუ მესამედაც მოკლას კაცმან მანვე, მაშინ მოკვდეს იგიცა.

უკეთუ საწამლავი აჭამოს ვინმემ ვისმე, თუ მოკვდეს, ისე გადახდეს, ვითარცა კაცის მკვლელსა, და თუ მორჩეს, წაერთოს მთელი სისხლი და ხუთ წელიწადს აშუშაონ მადანსა შინა ანუ სხვაგან, ბორკილითა შეკრული.

უკეთუ თავადი თავადს, ანუ აზნაური აზნაურს, ანუ გლეხი კაცი გლეხ კაცს მიუხდეს უსამართლოდ გინდ სამართლიანად, და შეუტყობრად მართებელთა მოკვდეს ვინმე მიმხდომი, მაშინ, ვითარცა არს ვახტანგ მეფისა მიერ დაბეჭდილი, ამისთვის ვერა რას შეუა.

უკეთუ, თავადი თავადს წაეკიდოს ანუ აზნაურს, მაშინ ნურავინ იკადროს მსახურთა მათთაგანი, რათა მიეშველოს თავისსა ბატონსა. და უკეთუ იკადროს ვინმე, იგი მსახური იგვემოს ფრიად და ორი წელიწადი ამუშაონ საქვეყნო სამუშაოში. მსახურთა მათ თანა-აძთ, რაოდენ ძალედვას, დააზავონ იგინი ურთიერთისა შორის.

უკეთუ ცოლმან ვისამე იბოზოს და მიესწროს ქმარი, და მოკლას, თუმცა საქართველოს სასამართლოში არა რაჲ ეთხოვება, გარნა მაინც გამოერთოს ნახევარი სისხლი და იგი წარიგზავნოს უდაბნოში სამ წელ. ეს უმჯობესია დაიდოს საზოგადოებასა შინა, ვინიცობაა შეემთხვეს ეს გვარი საქმე, ცოლის პატრონი ნურც მოკლავს კაცსა მას, ნურც ცოლსა, არამედ განუტევოს და ნახევარი სისხლიცა კაცსა მას ცოლის პატრონსა საუპატიოდ. და მან კაცმან განოაცხადოს სასულიეროსა ადგილს და მისცენ ცოლის დასატუარი. მხოლოდ სხვებ ვითარცა განუჩენია ვახტანგ მეფეს: ქალისა თუ მოახლის გაწბილებასა ის სამართალი მიეცეს.

ამ გვარს შეძლომილებასა შინა ზემორე აღვწერეთ, ორგულის კაცისათვის და კაცის მკვლელთა ნურვინ იკადრებს შუა მდგომლობასა ნურც დედოფალი, ნურც მეფეთ ძენი, ნურც სამღვდელონი; და ნურც სხვა მოხელენი. რომ ჰსჯული იყოს მტკიცეთ, აგრეთვე დედოფალი და მეფის ძენი საქვეყნო ჰსჯულ დებაში ნუ გერევიან, და ნურც არას საქვეყნოს საქმეში გაერევიან, გარდა მათდა, რომელთაც აქუთ რწმუნებული.

## ვაჭართა წესდებისათვის.

სამეოცდამეექვსე. ცუდი საქმე არის, რითაც შეიძლებოდეს ვაჭრობა დავაგვაროთ ქართველთა კაცთა შორის, ამისთვის რომელ რისაც სარწმუნოებისა არის, მეფე და ერნი, ვაჭარნიცა მისივე სარწმუნოებიანი უმჯობეს იქმნებიან; ჩვენ თითქმის სომხებისა და თათრების ვაჭრების ხელის შემხედველნი ვართ, და ეს ძლიერება იქმნება ჩვენი ოდესცა ვაჭარნიცა ჩვენნი იქმნებიან, და ამისთვის გამოვარჩიოთ ქართლიდამ კახეთიდამ, რაოდენნიმე კაცნი, ისევ ვაჭრებთან ნამყოფნი და შევაჩვიოთ ვაჭრობას. ამათ ხელი განემართოს საქვეყნოს შემოსავლიდამ. რათა ისწავლონ ვაჭრობაჲ.

გარდა ამისა სომეხთაცა და თათართაცა ისე ივაჭრონ, რა გვარათაცა უვაჭრიათ პირველ.

უკეთუ სხვათა ქვეყანასა ვაჭარნი მოვიდნენ, ანუ სპარსით, ანუ ოსმალით, და დაჰყონ ხანი რაოდენიმე, ვაჭრობასა შინა ანუ გარდა ვაჭართა მუნებურნი კაცნი; და მოხდეს ანუ ოსმალთაგან, და ანუ ყიზილბაშთაგან აშლა და ლაშქრობაჲ ჩვენზედ, მაშინ ჟამსა აშლილობისასა, გამოეცხადოს მათ, ანუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკუნ იქცნენ თვისად მამულად. მასვე დროსა შინა, ანუ დაეწერნენ ყმათ საქართუელოსა, რათა ზრუნვა აქუნდეს მათთვის მეფესა, და ენვდნენმცა დასახიზვნელად. უკეთუ ანებონ დაწერა ყმად, მაშინ დაიწერნენ ხარისხთა მებრ მათთა, სხუათა თანა შეთანასწორებით და დააფიცონ ერთგულობასა ზედან მეფისა და მამულისასა, ფიცითა მით, რომლისა სარწმუნოებ-საცა იყუნენ იგინი, მტკიცედ შეკრულ ფიცისა მის.

(შემდეგი იქნება).

---

## ახალი ამბები და შენიშვნები.

მათი ყოვლად უსამღვდელოესობა, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, თანახმად უმაღლესის მთავრობის ნება დართვისა, ორი თვით საექიმოდ წაბრძანდა ბორჯომს. მის მაგიერ ეპარქიის მართველად უწმიდესი სინოდისაგან დანიშნულია ალავერდის ეპისკოპოსი ბესარიონი, რომელიც უკვე მობრძანდა 29 ივნისს ქუთაისში.

—

ამა წლის სეკტემბრის რვა რიცხვს ყოვლად სამღვდელოს გაბრიელს სწორედ ოცდა თხუთმეტი წელიწადი შეუსრულდება, რაც მათი მეუფება განუწყვეტლივ მსახურებს იმერეთის ეპარქიაში. 1868 წლიდან 1886 წლამდე მათი მეუფება მართავდა აფხაზეთის ეპარქიას და 1878 წლიდან 1886 წლამდმდე მართავდა სამეგრელოს ეპარქიასაც. ერთ დროს ყოვლად სამღვდელო გაბრიელს დაენიშნა ვიკარი, მაგრამ ბოლოს ეპარქიების საქმე ისევ აირ-დაირია და ერთის მაგიერ სამი ეპისკოპოსი დანიშნეს. ერთად ერთი ყოვლად სამღვდელო გაბრიელი მართავდა აფხაზეთის ეპარქიას თვრამეტ წელიწადს, მაგრამ მათ მეუფებას არ მოწყენია ამ ეპარქიის მმართვა. 1887 წლიდან დღემდე აფხაზეთის ეპარქიის კათედრაზე დაინიშნა აგერ ხუთი სხვა და სხვა მღვდელმთავარნი და ყველას საძნელოთ ურჩება ამ ეპარქიის მართვა.

***

ქალაქი ქუთაისი, როგორც იცის ჩვენმა მკითხველმან, ემზადება მათი ყოვლად უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ოცდა თხუთმეტი წლის იუბილეის დღესასწაულებას 8 სეკტემბერს. 1860 წლის 8 სეკტემბერს ყოვლად სამღვდელო მობრძანდა იმერეთის ეპარქიაში და სწირა პირველად. როგორც ისმის ამ დღეს ქალაქი და ყველა წოდების წარმომადგენელნი დაესწრებიან წირვაზედ და პარაკლისზედ და შემდეგ მივლენ იუბილიართან, მიულოცვენ მას და მიართმევენ ადრესს. როგორც ამბობენ, ეს დღესასწაულება დაგვირგვინდება ორი სტიპენდიის დაარსებით. ერთი სტიპენდია ყოვლად სამღვდელოს სახელით სემინარიაში იქნება დაარსებული და მეორე იმ აკადემიაში, რომელშიაც მიიღო განათლება თვით ყოვლად სამღვდელომ, ე. ი. პეტერბურგისაში. სწორეთ მშვენიერი განზრახვა არის და ღმერთმან ჰქმნას ეს ხმები განხორციელებულიყოს.

—

საკვირველი საქმე ხდება ეხლანდელ დროში. ფოსტებს გლეხი კაცები გაუჩინეს ყარაულად, რკინის გზებსაც მიუჩინეს გლეხები ყარაულად, მომრიგებელ სასამართლოებს; მაზრის უფროსებს და ბოქაულებსაც კი ყარაულობენ, მაგრამ ეკკლესიების ყარაულების დანიშვნას კი არა უხერხდება რა. როდესაც ერთი ეკკლესია გაიქურდება, შეიქნება ერთი მიწერ მოწერა, რომ ყარაულები დაინიშნენ ყველა ეკკლესიაზედო და ბოლოს მიანებებენ თავს. ცხადათ სჩანს აქედამ, რომ არავის არ შეტკივა გული ეკკლესიისათვის...

***

ორი გლეხი კაცი საქარიას სოფლის გამოწვეულნი რკინის გზის ლიანდაგის საყარეულოდ გასრისა მატარებელმა, რომელთაც ისე მიპაროდა ღამით ამ საცოდავებს, რომ სრულებით ვერა გაეგოთრა. თითო კვირაობით აყენებენ ამ საცოდავებს გზაზედ და როგრ შიძლებენ მთელი კვირა ყარაულობას დღე და ღამე? ნუ თუ არ მოელება ბოლო ამნაირად გლეხების წვალებას?...

---

### გაფრთხილება.

დიდი ხანია, რაც სურვილი გვქონდა ჩვენი წმიდანების პატარა გულსაკიდი ხატები დაგვემზადებია, მაგრამ დროის უმექონლობისა გამო ეს სურვილი სისრულეში ვერ მოვიყვანეთ. წარსული წლიდან ვიწყეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პატარა ხატების დამზადება. დავამზადეთ პატარა გულ-საკიდი ხატები, ბრონზზე მოჭრილი, წმიდა მოციქულთ სწორის, ქართველთ განმანათლებელის ნინასი, შემდეგ ანდრია პირველ წოდებულისა, და ამ წელში დავით აღმაშენებლის და თამარისა. ჩვენი მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ ეს პატარა ხატები გავრცელებულიყო ხალხში და ამისთვის მცირე ფასი, ერთი შაური დავნიშნეთ, და გამყიდველთ ჰრჩებოდა ექვსი-ოდა მანეთზედ 20 კ. ჩვენდა სასიხარულოდ, ეს ხატები ხალხში ძლიერ გავრცელდა და ყველანი დიდის სიხარულით ყიდულობენ. მაგრამ ძლიერ შეგვაწუხა იმ ამბავმა რომ ზოგიერთები, რომელნიც თვითონ შაურად ყიდულობენ, ამ ხატების თვითოეულს ცალს, ქალაქებში და სოფლებში დააქვსთ და თითოს ორ, შაურად, აბაზად, ექვს შაურად და ზოგჯერ ორ აბაზადაც ჰყიდიან თურმე. ვაფრთხილებთ ყველას, რომ ნუ ყიდულობენ ასე ძვირად ამ ხატებს. მსურველთ შეუძლიათ შაურად იყიდონ ეს ხატები ყველა წიგნის მაღაზიებში. ვსთხოვ ყველა სამღვდელო პირს, გააფრთხილოს ხალხი ამისთანა ვაჭრებისაგან. ცოტას ხანში ჩვენ მივიღებთ ამისთანა პატარა ხატებს ვეცხლისგან გაკეთებულს.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

---

## შეწირულებანი.

დავით აღმაშენებლის სამლოცველოს განსაახლებლად და წმ. დავით და კონსტანტინეს ლუსკუმისათვის მივიღეთ 5 მანეთი: ამ ფულებიდან 3 მანეთი ტყვირის სოფლის სამრევლოსაგან არის შემოწირული, მატრონა ელიავას ასულისაგან 1 მანეთი და 1 მანეთიც ლიუდი გოგიტიძის ასულისაგან.

ამ ფულებისა იყო 3239 მანეთი და 16 კაპ. ამიანად იქნება 3244 მან. 16 კაპ.

---

## განცხადება.

---


საქველმოქმედო

**თამარის ნახატიანი**

**ფოსტის ქაღალდი**

ისყიდება თბილისის და ქუთაისის ქართულ წიგნის მაღაზიებში

**თითო ფურცელი თითო კაპეიკად.**

მოგებული თანხიდან ნახევარი შეეწირება ზეპირსიტყვაობგის ფონდს და ნახევარიც მოხმარდება იაფფასიან და მუქთად დასარიგებელ სახალხო წიგნაკების გამოცემას.

ვისაც სურს გამოწერა შეუძლიათ დაიბარონ ფოსტით დ. ყვირილიდან მიხეილ ბარამაძისაგან.


---


«მწყემსი»-ს რედაქციისაგან დაიბეჭდა ცალკე წიგნაკად და მალე იქნება გასასყიდლად

ცხოვრება ღირსისა და ღმერთ-შემოსილისა

მამისა ჩვენისა

**გიორგი მთაწმინდელისა.**

საღმრთო წერილის ქართულს ენაზე მთარგმნელისა, ათონის ივერიის სავანის ქტიტორისა

და

სრულიად ივერიის განმანათლებელისა.


---


შ ი ნ ა ა რ ს ი. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უმოქმედობის ახირებული გამართლება.—საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი.—თ. ილია ჭავჭავაძის სიტყვა.—წერილი რედაქციის მიმართ თ. ნიკ. ორბელიანისა.—ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.—საისტორიო მასალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—გაფრთხილება.

შეწირულება.

განცხადება.



Редакторъ-издатель, П. Д. Гамбашидзе. *Дозволено цензурою. Тифлисъ*, 29 Іюня 1895 г.

Типографія реадкціи (П. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.